

2016 წლის 15 ივნისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მონაწილეები:

#	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრები	
1	დავით სერგეენკო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი  ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე
2	თამარ გაბუნია	“უნივერსითი რისერჩ კო” (URC) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საქართველოში ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის დირექტორი  ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე
3	ამირან გამყრელიძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი  გლობალური ფონდის გრანტების ძირითადი მიმღები ორგანიზაცია
4	ნინო ბადრიძე	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორის, ბ-ნი თენგიზ ცერცვაძის სახელით  ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
5	ზაზა ავალიანი	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი  ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
6	ხათუნა თოდაძე	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა, ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
7	არჩილ თალაკვაძე	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე

8	თამაზ მარსაგიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე
9	ირინე ჯავახაძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველო, მთავარი სპეციალისტი
10	თამთა დემურიშვილი	საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო, სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი
11	თამარ სირბილაძე	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების დეპარტამენტის დირექტორი
12	რუსუდან კლიმიაშვილი	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი
13	ლელა ბაქრაძე	გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი
14	ცისანა შარტავა	ალტერნატიული წევრი. საქართველოს საპატრიარქოს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, არქიმანდრიტ ადამის-ვახტანგ ახალაძის სახელით
15	ზურაბ ვადაჭკორია	სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი
16	ლაშა აბესაძე	ალტერნატიული წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორის“, გამგეობის თავმჯდომარის კონსტანტინე ლაბარტყავას სახელით ქვე-ქვე კონტრაქტორი ორგანიზაცია
17	იზოლეტა ბოდოკია	არასამთავრობო ორგანიზაცია „შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის“ დირექტორი ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
18	პაატა საბელაშვილი	MSM წარმომადგენლობა
19	მადლენა ხუციშვილი	სათემო ორგანიზაცია „პაპა“
20	მაია ბუწაშვილი	არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელების კვლევის კავშირი“, დირექტორი

21	კახა კვაშილავა	„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“ (GHRN), გამგეობის თავმჯდომარე ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
22	თამარ ბორცვაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია „მსოფლიო ექიმები“ უფროსი ოფიცერი ადვოკატირების საკითხებში
23	ლელა წაქაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია „გამარჯვებულთა კლუბი“, დამფუძნებელი
24	ნიკოლოზ მირზაშვილი	ყოფილი ტბ პაციენტი, პაციენტთა კავშირი, გამგეობის წევრი
25	ნინო ოსეფაიშვილი	ალტერნატიული წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს წითელი ჯვარის პრეზიდენტის, ნათია ლოლაძის სახელით
მოწვეული პირები		
26	ირაკლი კაციტაძე	ადგილობრივი ფინანსური აგენტი (LFA), გუნდის ხელმძღვანელი
27	ირმა ხონელიძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC&PH), გენერალური დირექტორის მოადგილე გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული (GFATM PIU), დირექტორი
28	დავით ანანიაშვილი	არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო პლიუს ჯგუფი“ , დირექტორი
29	ალექსანდრე ასათიანი	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი (NCDCPH, GFATM HIV M&E Officer)
30	გიორგი კუჭუხიძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტუბერკულოზის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი (NCDCPH, GFATM TB M&E Officer)
31	მაგდა კოსტავა	არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰერა XXI“

32	ბესო ყაზარაშვილი	სათემო ორგანიზაცია „პაპა“ CBO
33	ქეთევან ჩხატარაშვილი	საერთაშორისო ფონდი „კურაციო“, პრეზიდენტი
34	აკაკი ზოიძე	საერთაშორისო ფონდი „კურაციო“, კონსულტანტი
35	მზია ტაბატაძე	საერთაშორისო ფონდი „კურაციო“, კონსულტანტი
36	ეკა სანიკიძე	ტბ კოალცია, აკსმ სპეციალისტი
37	თამარ ქაშიბაძე	საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო, სამედიცინო დეპარტამენტი
38	ნოე ქინქლაძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, საზედამხედველო კომიტეტის კონსულტანტი
39	ირინა გრძელიძე	აღმასრულებელი მდივანი
40	ნათია ხონელიძე	ადმინისტრაციული ასისტენტი

### დღის წესრიგი

15:00 – 15:10	სხდომის გახსნა/დღის წესრიგის დამტკიცება/საბჭოს 82-ე სხდომის ოქმის დამტკიცება  ბ-ნი დავით სერგეენკო - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
15:10 – 15:15	მიმართვა საბჭოს წევრებისადმი ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დეკლარირების თხოვნით სამდივნო
15:15 – 15:25	მოხსენება გლობალური ფონდის გამგეობის 35-ე სხდომის შესახებ  ბ-ნი არჩილ თალაკვაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე
15:25 – 15:40	გარდამავალი პერიოდის მდგრადობის გეგმის მონახაზის წარდგენა  ბ-ნი აკაკი ზოიძე - საერთაშორისო ფონდი კურაციო, კონსულტანტი

15:40 – 15:50	დისკუსია
15:50– 16:05	<p>გლობალური ფონდის დაფინანსებით მინდინარე პროექტის „ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“ განხორციელების ბარიერები</p> <p>ბ-ნი კახა კვაშილავა - ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი</p>
16:05 – 16:20	<p>გლობალური ფონდის ტბ და აივ/შიდსის გრანტების მიმდინარეობა</p> <p>ქ-ნი ირმა ხონელიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტის დირექტორი</p>
16:20– 16:30	<p>საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში</p> <p>ბ-ნი დავით ანანიაშვილი - საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე</p>
16:30 – 16:45	<ul style="list-style-type: none"> <li>• აივ გრანტის 1 პერიოდის და ტბ გრანტს მე-8 პერიოდის ზედამხედველობის ინსტრუმენტის - „დეშბორდის“ წარდგენა</li> </ul> <p>ბ-ნი ალექსანდრე ასათიანი - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის აივ/შიდსის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი</p> <p>ბ-ნი გიორგი კუჭუხიძე - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროექტის მონიტორინგის და შეფასების ოფიცერი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საზედამხედველო კომიტეტის რეკომენდაციების წარდგენა</li> </ul> <p>ბ-ნი დავით ანანიაშვილი - საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე</p>
16:45– 16:55	<p>საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობის განახლება/განახლებული შემადგენლობის დამტკიცება</p> <p>ქ-ნი ირინა გრძელიძე - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო, აღმასრულებელი მდივანი</p>

16:55- 17:10	<p>მიმდინარე საკითხები/განცხადებები</p> <p>გლობალური ფონდის ტუბერკულოზის რეგიონული პროექტის (TB REP)</p> <p>განხორციელება-კოპენჰაგენში გამართული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული კონფერენციის შედეგები</p> <p>ქ-ნი თამარ გაბუნია - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საქართველოში ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის დირექტორი</p>
17:10	სხდომის დახურვა

**დავით სერგეენკო** - მიესალმა სხდომის მონაწილეებს და მადლობა მოახსენა მათ მობრძანებისათვის. თავმჯდომარემ მიმოიხილა დღის წესრიგი და მიმართა დამსწრეებს, არსებობის შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების და ინტერესთა კონფლიქტის ფორმის შევსების თხოვნით. თავმჯდომარემ სთხოვა აუდიტორიას, არსებობის შემთხვევაში, გამოეთქვათ შენიშვნები/საწინააღმდეგო მოსაზრება საბჭოს 83-ე სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით.

*საბჭოს 83-ე სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა; საბჭოს 82-ე სხდომის ოქმი დამტკიცდა.*

*ინტერესთა კონფლიქტის ფორმა შევსებულ იქნა წევრების მიერ და ინახენა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ოფისში. სხდომაზე მონაწილე არცერთმა წევრმა არ განაცხადა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა საბჭოს 83-ე სხდომის დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით.*

**დავით სერგეენკო** - სიტყვა გადასცა ბ-ნ არჩილ თალაკვაძეს.

**არჩილ თალაკვაძე** - წარუდგინა წევრებს დეტალური მოხსენება გლობალური ფონდის გამგეობის 35-ე სხდომის შესახებ. შემდეგ საკითხებს დაეთმო განსაკუთრებული ყურადღება: გლობალური ფონდის თანხებით შევსების მე-5 რაუნდი; ალოკაციის ახალი მეთოდოლოგია და რიგი ქვეყნების შეშფოთება კრიტერიუმებთან მიმართებაში; მდგრადობა და გარდამავალი პერიოდი; ძირითადი ინდიკატორების ჩარჩო-დოკუმენტი (KPI document - key performance indicators); კატალიზური ინვესტიციები; გენერალური ინსპექტორის ოფისის ანგარიში.

*კომენტარი: ზეპირი მოხსენების გარდა, ბ-ნი თალაკვაძის მიერ მოწოდებული გლობალური ფონდის გამგეობის სხდომის მასალა მიეწოდა ქსს-ს წევრებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.*

*გაკეთდა შემდეგი განცხადებები: ბ-ნი არჩილ თალაკვაძე დაინიშნა გლობალური ფონდის ეთიკისა და მმართველობის კომიტეტის წევრად; საქართველოს გლობალური ფონდის გამგეობის წევრობის მანდატი ამოიწურა. შეთანხმდა, რომ ქვეყნიდან მოხდება ორი პირის ნომინირება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის წარმომადგენლობაში.*

დავით სერგეენკო - სიტყვა გადასცა ბ-ნ აკაკი ზოიძეს.

აკაკი ზოიძე – წარუდგინა აუდიტორიას გარდამავალი/მდგრადობის გეგმის პირველი მონახაზი (ცხრილი და პრეზენტაცია თანდართულია). დოკუმენტი ქსს-ს წინაშე წარდგენამდე განხილულ იქნა პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის მიერ. ბ-ნმა ზოიძემ მიმოიხილა განმარტებითი ბარათის (თანდართულია) ძირითადი შინაარსი, მეთოდოლოგია და მიდგომები. ამის შემდეგ, მან აღწერა სტრატეგიული ამოცანები და თითოეული ამოცანის შესაძლო აქტივობების მაგალითები. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძირითადი აქტივობები წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნით და მათი საბოლოოდ ჩამოყალიბებისკენ და დასრულებისკენ მიმართული სამუშაოები გაგრძელდება. მოცემულ ეტაპზე, „გარდამავალი პერიოდის მზადების შეფასების მიგნებებზე“ დაყრდნობით ქსს-ს წინაშე განსახილველად და შესათენხმებლად წარმოდგენილია მხოლოდ ძირითადი მიმართულებები. მან ხაზი გაუსვა მდგრადობისათვის განხორციელებადი აქტივობების პრიორიტეტიზაციის მნიშვნელობას. ბ-ნმა ზოიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების და შესაძლო ცვლილებების გათვალისწინებით აუცილებელი იქნება გეგმის გადახედვა 2017 წლის ბოლოსთვის. მან ხაზი გაუსვა დოკუმენტის სამთავრობო დონეზე საბოლოო დამტკიცების მნიშვნელობას.

**გაიმართა დეტალური განხილვა.** დამსწრე საზოგადოებამ დაწვრილებით განიხილა შემოთავაზებული ჩარჩო-დოკუმენტი. შემდეგი საკითხები მოექცა აუდიტორიის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ: გეგმის განხორციელების გარემოებები; აქტივობების განხორციელებადობა; შესყიდვების სახელმწიფო კანონი; ტბ და შიდსის პროგრამების ეფექტიანობის ზრდის საჭიროება; მოქმედი მობილური ლაბორატორიები; ნარკოტიკის მოხმარების და ტესტირების თვალსაზრისით საკანონმდებლო ბაზა; უკვე განხორციელებული აქტივობების, როგორცაა ნარკოკანონმდებლობის ლიბერალიზაციისკენ მიმართული ნაბიჯები (2001 წლის ბრძანება #239/N-ში შეტანილი ცვლილება) ანალიზის გათვალისწინების საჭიროება; პრევენციული პროგრამების დაფინანსების მდგრადობა; აივ-პრევენციული ღონისძიებების ც კეპატივის ელიმინაციის პროგრამასთან სინერგიის მნიშვნელობა; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაში სახელმწიფოს ინვესტიციების რაციონალურობის შესწავლა და სამოქალაქო საზოგადოების ტბ და აივ-ს საპასუხო ღონისძიებებში ჩართულობის მხარდასაჭერად ყველა პოტენციური წყაროს

იდენტიფიცირება; რეგულაციები კერძო პროვაიდერებისათვის მანდატორული პერიოდის ამოწურვის შემდეგ ტბ სერვისების შესანარჩუნებლად; ტბ და აივ-ის ჯანმრთელობის საინფორმაციო სისტემების ჩამოყალიბებულ და საპილოტე ფაზაში მყოფ E-Health სისტემაში ინტეგრირება; მკურნალობის გაუმჯობესების მიზნით შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსება (performance based financing); ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის მმართველობის გაუმჯობესება არსებულ სტრუქტურებზე დაყრდნობით; პირველადი ჯანდაცვის მუშაკების ტუბერკულოზის საკითხებზე გადამზადების შედეგების მდგრადობის შენარჩუნება.

*შეთანხმდა, რომ გეგმის შემუშავების სამუშაო პროცესი, მათ შორის, ძირითადი აქტივობების განსაზღვრისკენ მიმართული მუშაობა გაგრძელდება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, გაიმართება კონსულტაციები და ანალიტიკური სესიები.*

*ქსს-მ დაამტკიცა გარდამავალი/მდგრადობის გეგმის შემოთავაზებული სტრატეგიული ამოცანები.*

**დავით სერგენკო - სიტყვა გადასცა ბ-ნ კახა კვაშილავას.**

**კახა კვაშილავა** – წარუდგინა აუდიტორიას ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ 11 ქალაქში 14 სერვის ცენტრის მეშვეობით განხორციელებული გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებლებისთვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდების“ განხორციელების ბარიერები. ბ-ნმა კვაშილავამ აღნიშნა, რომ გარდა ზემოთ ხსენებული პროექტისა, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი ბოლო წლის განმავლობაში აქტიურად არის ჩართული ც ჰეპატიტის სკრინინგის პროცესში. ბ-ნმა კვაშილავამ აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში პროგრამის ფუნქციონირებისას დრო და დრო თავს იჩენს სიტუაციის გამწვავებები სამართალდამცავ პირებთან, როგორცაა პოლიციის მიერ სოციალური მუშაკების დაკავება და იძულებით ნარკოტესტირებაზე გადაყვანა, პროექტის აუთორი ავტომანქანებზე და სერვის ცენტრებში შესულ და გამოსულ ბენეფიციარებზე თვალათვალი. აღნიშნული ქმედებები პოლიციის მუშაკების მხრიდან აბრკოლებენ პროგრამის განხორციელებას. პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა აჭარის რეგიონში. ბ-ნმა კვაშილავამ აღნიშნა, რომ 2016 წლის თებერვალში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება პოლიციის მუშაკებთან ურთიერთობების დანალანსების შესახებ, თუმცა სერვის ცენტრებიდან მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ პოლიციის ქმედებები კვლავ უქმნის რისკს პროგრამის განხორციელებას. ამის შემდეგ, ბ-ნმა კვაშილავამ წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას სერვის ცენტრებიდან მიღებული ინფორმაცია კონკრეტული ფაქტების შესახებ, რომელიც უქმნის ბარიერს პროგრამის განხორციელებას. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ კვლავ არსებობს ზედოზირებისას პოლიციის შეტყობინების ერთეული შემთხვევები, თუმცა ისინი არ ატარებენ სისტემურ ხასიათს. ბ-ნმა კვაშილავამ ხაზი გაუსვა ბენეფიციარებთან აუტორი აქტივობების ჩატარების რთულ ხასიათს. ბ-ნმა კვაშილავამ გამოთქვა შეშფოთება იმ ფაქტის გამო, რომ ურთიერთთანამშრომლობის სამმხრივ



მემორანდუმზე ხელმოწერა ჯერაც არ მომხდარა, მიუხედავად მიღწეული შეთანხმებისა. გამომსვლელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემული გარემოებები საფრთხეს უქმნის გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში დასახული ინდიკატორების შესრულებას, ისევე როგორც ც ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ეფექტურ განხორციელებას. მან გამოთქვა იმედი, რომ მიღებული იქნება გამოსასწორებელი ზომები, მომავალში პროგრამის განხორციელების ბარიერების აღმოსაფხვრელად.

### **დავით სერგენკო - სიტყვა გადასცა ბ-ნ არჩილ თალაკვაძეს.**

**არჩილ თალაკვაძე** — წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას ბოლო 3 წლის მანძილზე განხორციელებული რეფორმის კომპონენტები და შედეგები. მან ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: 2001 წლის ბრძანება #239/N-ში შეტანილმა ცვლილებამ დრამატულად შეამცირა ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილის რიცხვი; სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციით შეიცვალა ქუჩის ნარკოტესტირების რეგულაციები. ამ ცვლილებების შემოღების შემდეგ ორი თვის განმავლობაში ნახევრად შემცირდა ქუჩის ნარკოტესტირების რიცხვი, გამოვლენის მაჩვენებელი კი დაფიქსირდა როგორც 51%, განსხვავებით ადრინდელი 30%-ისა, არ არსებობს არცერთი შემთხვევა ადამიანის დაკავებისა მხოლოდ ნარკოტიკის გამოყენების გამო 2015 წლის განმავლობაში; ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელიც ინიცირებული იყო იუსტიციის სამინისტროს მიერ გამიჯნა ფლობა პერსონალური გამოყენების მიზნით და გასაღების მიზნით, ასევე განსხვავებულია დაკავების პერიოდი; ნარკომომხმარებლებისათვის, მათ შორის ყოფილი მომხმარებლებისათვის, ც ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან მაღალი წვდომა; კლიენტების მოსაზიდად ზიანის შემცირების პროგრამაში ჩასართავად ზედა ზღვარის გაუქმება; შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ზიანის შემცირების პროგრამების მოცვის გაფართოვების საჭიროების აღიარება, განსაკუთრებით არალეგალური გამოყენებისათვის ნარკო-რეგულაციის ლიბერალიზაციის პირობებში; დეტოქსის პროგრამებში სახელმწიფოს კონტრიბუცია; შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტუალობების ძირითადი რესურსი მიმართულია ნარკოტრაფიკინგთან ბრძოლაზე; შინაგან საქმეთა სამინისტრო მხარს უჭერს ოთხსვეტიან ნარკოპოლიტიკას. ბ-ნი თალაკვაძე შეეხო სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის ძირითად ასპექტებს. მინისტრის მოადგილე შეეხო ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენლების და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეების შეხვედრას, სადაც შეთანხმდა პოლიციის მხრიდან პროგრამის შემაფერხებელი ნებისმიერი ურგენტულ საკითხზე რეაგირებისათვის მომავალი კომუნიკაციის ეფექტური ფორმატი. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ პოლიციის თანამშრომლების დიდი რიცხვის გათვალისწინებით, ცალკეული შემთხვევები შეიძლება კვლავ ხდებოდეს, თუმცა მათ არ აქვთ სისტემური ხასიათი და მოხდება მათზე ეფექტური რეაგირება სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან. ბ-ნი თალაკვაძე შეეხო წერილში აღწერილ და ბ-ნ კვაშილავას მიერ წარმოდგენილ შემთხვევებს და განმარტა თითოეული შემთხვევის მიზეზი, გამოსავალი და მათი მოგვარებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადადგმული

ნაბიჯები. ბ-ნმა თალაკვაძემ გამოთქვა გაკვირვება იმ ფაქტის გამო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან პირდაპირი კომუნიკაციის ნაცვლად, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა არჩია ფორმალური წერილი, რამაც გამოიწვია დაუყოვნებელი გადაჭრის და კომუნიკაციის შეფერხება. მინისტრის მოადგილე შეეხო ბ-ნი კვაშილავას მოსაზრებას პრობლემის აჭარის რეგიონში განსაკუთრებული სიმწვავის შესახებ და დაინტერესდა თუ მოხდა ამ ფაქტების პირდაპირი კომუნიკაცია მინისტრის მოადგილეებთან, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად. ბ-ნმა თალაკვაძემ დაადასტურა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან პოლიტიკური ნება ზიანის შემცირების პროგრამების შეუფერხებელი განხორციელებისა. მინისტრის მოადგილემ მოუწოდა ბ-ნ კვაშილავას წარედგინა მონაცემები სისტემური ხასიათის ნებისმიერი პრობლემის შესახებ, თუ ასეთი არსებობს. ბ-ნმა თალაკვაძემ განმეორებით აღნიშნა, რომ მთავრობა ახორციელებს რეფორმებს. ბ-ნმა თალაკვაძემ გამოთქვა მზადყოფნა წარედგინა ქსს-ს მომავალ სხდომაზე ნარკომომხმარების დეკრიმინალიზაციის ყველა შესაძლო სცენარი. ბოლოს, ბ-ნმა თალაკვაძემ დაადასტურა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ღონისძიებების ძირითადი სფერო მომართულია არალეგალურ ნარკოტრაფიკინგთან ბრძოლისკენ და წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას ამ მიმართულებით განხორციელებული წარმატებული სამუშაოების შედეგები.

**ლაშა აბესაძე** - ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებლების (ნიმ) თემის სახელით გამოთქვა მოსაზრება, რომ რეგულაციის ცვლილებები არ არის საკმარისი და რომ კვლავ აქვს ადგილი პოლიციის მუშაკების მხრიდან სამსახურებრივი გადაცდომის შემთხვევებს.

**პაატა საბელაშვილი** - მკაცრად გააკრიტიკა არსებული ნარკოპოლიტიკა და განაცხადა, რომ კვლავ ტარდება რეპრესიული ზომები ნარკომომხმარებლების საწინააღმდეგოდ. მან მოუწოდა არსებული სტატუსის რადიკალური ცვლილებისკენ.

**არჩილ თალაკვაძე** - გამოთქვა კომუნიკაციის სამუშაო რეჟიმში გაგრძელების მზადყოფნა.

**დავით სერგეენკო** - შეაჯამა დისკუსია და განაცხადა, რომ წამოწეულ საკითხებზე მსჯელობა გაგრძელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სამუშაო ფორმატში.

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ დისკუსია დაგეგმილზე ხანგრძლივი აღმოჩნდა, თავმჯდომარემ შესთავაზა დამსწრე საზოგადოებას საზედამხედველო კომიტეტის ანგარიშის და საზედამხედველო კომიტეტის რეკომენდაციების შემცველი „დეშბორდები“ მიეწოდოს ქსს-ს ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით.

ქსს-ს წევრები დაეთანხმნენ დღის წესრიგის შემოთავაზებულ ცვლილებას.

კომენტარი: ქსს-ს მიეწოდა საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში. ქსს-სთან ელექტრონულ რეჟიმში შეთანხმდა დეშბორდიან გამომდინარე რეკომენდაციები.

**დავით სერგეენკო** - სიტყვა გადასცა ქ-ნ ირინა გრძელიძეს.

**ირინა გრძელიძე** - განმეორებით წარუდგინა ქსს-ს საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობის განახლების პროცესი.

აღნიშნულის შედეგად შემდეგი პირები წარდგენილია საზედამხედველო კომიტეტის წევრობაზე შემდეგი „წარმომადგენლობების“ მიერ:

**სამოქალაქო სექტორი (სამი ადგილი):**

1. თამარ ბორცვაძე - MdM, უფროსი ოფიცერი ადვოკატორების საკითხებში, ქსს-ს წევრი.
2. მაია ბუწაშვილი - ჯანმრთელობის კვლევის კავშირი, დირექტორი, ქსს-ს წევრი
3. ნიკოლოზ მირზაშვილი - ყოფილი ტბ პაციენტი, პაციენტთა კავშირის გამგეობის წევრი, ქსს-ს წევრი.
4. ეკა სანიკიძე - ტბ კოალიცია, აკსმ სპეციალისტი, არ არის ქსს-ს წევრი.

**სამთავრობო სექტორი (სამი ადგილი):**

1. ნინო ბერძული - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, პოლიტიკისა და ადვოკატორების კომიტეტის თავმჯდომარე, არ არის ქსს-ს წევრი.
2. თამარ ქაშიბაძე - საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო, სამედიცინო დეპარტამენტი, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, არ არის ქსს-ს წევრი.

**ბილატერალური/მულტილატერალური დონორები (1 ადგილი)**

1. რუსუდან კლიმიაშვილი - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი

ქ-ნმა გრძელიძემ მიმართა აუდიტორიას საზედამხედველო კომიტეტის წევრობის კანდიდატებისათვის ნებისმიერი კითხვების დასმის თხოვნით. კანდიდატებს ეთხოვათ საკონფერენციო დარბაზის დატოვება დისკუსიის და გადაწყვეტილების მიღების პერიოდში. ქსს-ს წევრებმა განიხილეს კანდიდატურები. რის შემდეგ მოხდა მათი საზედამხედველო კომიტეტში გაწევრიანების საკითხის კენჭისყრაზე დაყენება.

*კენჭისყრის შედეგად: ქ-ნი თამარ ბორცვაძე, ქ-ნი მაია ბუწაშვილი, ბ-ნი ნიკოლოზ მირზაშვილი, ქ-ნი ნინო ბერძული, ქ-ნი თამარ ქაშიბაძე, ქ-ნი რუსუდან კლიმიაშვილი ერთხმად იქნენ არჩეული საზედამხედველო კომიტეტის წევრებად. ქ-ნ ეკა სანიკიძეს შესთავაზეს ჩაერთოს საზედამხედველო კომიტეტის მუშაობაში კონსულტანტის სტატუსით.*

კანდიდატებს მოუხმეს საკონფერენციო დარბაზში . გამოცხადდა შედეგები. გაკეთდა განცხადება, რომ საზედამხედველო კომიტეტი წარუდგენს ქსს-ს საბოლოო შეთანხმებისათვის საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურას. ქსს-ს წევრებმა გამოხატეს მადლიერების გრძობა საზედამხედველო კომიტეტის ყოფილი წევრების: ბ-ნ ვალერი კვარაცხელიას, ბ-ნ გიორგი ხეჩინაშვილის, ქ-ნ თამარ სირბილაძის, ქ-ნ მარი ჩოხელის, ბ-ნ დავით ანანიაშვილის მიმართ. წევრმა მადლობა გადაუხადეს ბ-ნ დავით ანანიაშვილს კომიტეტის ხელძღვანელობისათვის, წლების მანძილზე მისი ერთგულების, თავდადების და დაულალავი შრომისათვის ქსს-ს წევრის და საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციაზე.

თამარ გაბუნია - სიტყვა გადასცა ქ-ნ ირმა ხონელიძეს.

ირმა ხონელიძე - მიაწოდა წევრებს უახლესი ინფორმაცია გრანტების განხორციელების სტატუსის შესახებ.

დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში GEO-H-NCDC გრანტი დამტკიცდა გლობალური ფონდის მიერ. საგრანტო დადასტურება წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობაში. დოკუმენტის დამტკიცების თანავე ხელმოწერილი საგრანტო კონფირმაცია მიეწოდება გლობალურ ფონდს. გრანტის განხორციელების პერიოდია: 2016 წლის 1 ივლისი - 2019 წლის 30 ივნისი.

კონტრაქტები აივ-გრანტის ამჟამინდელ ქვე-კონტრაქტორებთან გაგრძელდა ორთვიანი პერიოდით აქტივობების უწყვეტობის უზრუნველყოფის და შესყიდვების პროცედურების განხორციელების მიზნით.

გლობალურმა ფონდმა დაამტკიცა GEO-T-NCDC გრანტის 6-თვიანი გაგრძელება (არახარჯვით) . ამრიგად, გრანტი გაგრძელდა 2016 წლის 31 დეკემბრამდე. ტბ საგრანტო მოლაპარაკებების დასრულება მოსალოდნელია 2016 წლის ივლისისათვის. ყოფილი ძირითადი მიმღების, გლობალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრის მიერ შექმნილი აქტივების პროგრამის განმახორციელებლებისადმი გადაცემის საკითხი შეთანხმდა ქსს-სთან. ძირითადი მიმღები იმოქმედებს შესაბამისად და მოახდენს ქსს-ს ინფორმირებას პროცესის შესახებ. wambo.org-ის (ელექტრონული შესყიდვების პლატფორმა) ტრენინგი გაიმართება გლობალური ფონდის წარმომადგენლების ქვეყანაში ვიზიტის ფარგლებში. მომხსენებელმა მაიწოდა დამსწრე საზოგადოებას სემინარის დეტალები და სისტემის მოკლე აღწერილობა. სემინარის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება მოგვიანებით.

გლობალურმა ფონდმა დაამტკიცა ტბ გრანტის განხორციელებისას დაზოგილი თანხების ორი ტბ ამბულატორიის მშენებლობისათვის გამოყენების საკითხი. მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები. ქ-ნმა ხონელიძემ გამოხატა განსაკუთრებული მადლიერების

გრძნობა ბ-ნი დავით სერგეენკოს მიმართ აღნიშნული საკითხის თაობაზე გლობალურ ფონდთან წარმოებული მოლაპარაკებების გამო.

**დავით სერგეენკო** – შეეხო გლობალური ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან, ბ-ნ მარკ დაიბულთან გამართულ შეხვედრას, სადაც მოხდა განცხადება გლობალური ფონდის მიერ შესყიდვების საკითხის მოლაპარაკებებისას მხარდაჭერის შესახებ. რაც შეეხება განხორციელების ინსტრუმენტს, აუცილებელია ამ საკითხის კოორდინირება სამინისტროს რეგულირების სააგენტოსთან და მინისტრის მოადგილესთან, ბ-ნ ვალერი კვარაცხელიასთან პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

### **განცხადებები:**

**ზაზა ავალიანი** – განაცხადა, რომ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულმა ცენტრმა წარადგინა განაცხადი საფრანგეთის 5% ინიციატივის მიერ გამოცხადებული განაცხადთა მიღების ინიციატივის ფარგლებში. წარდგენილი განაცხადი მოწონებულ იქნა დაფინანსებისათვის. ბ-ნმა ავალიანმა მოკლედ მიმოიხილა განაცხადის ძირითადი მიზნები და ამოცანები, რომლებიც მიმართულია MDR და XDR ტუბერკულოზის კლინიკური მართვისათვის ტბ პერსონალის უწყვეტ სამედიცინო განათლებისკენ ახალი ტბ პრეპარატების დანერგვის და ქვეყანაში X/MDR-TB ტრანსმისიის ზედამხედველობის კონტექსტში. განაცხადი შეირჩა 35 განაცხადს შორის, პროექტი სამი წლის განმავლობაში გასტანს და მისი ბიუჯეტი შეადგენს 669 000 ევროს. ბ-ნმა ზაზა ავალიანმა მაღალი შეფასება მისცა პროექტის ინოვაციურ ხასიათს და წარმოდგენილ მკურნალობის ახალ რეჟიმებს.

**თამარ გაბუნია** – წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას კოპენჰაგენში გამართული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული კონფერენციის შედეგები. წარდგენილ იქნა გლობალური ფონდის ტუბერკულოზის რეგიონული პროექტის (TB REP) სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები. ქ-ნმა გაბუნიამ ხაზგასმით აღნიშნა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის მაკოორდინირებელი როლი ქვეყანაში პროგრამის განხორციელების სამომავლო პროცესში.

**მზია ტაბატაძე** - განაცხადა, რომ შევაჩეროთ ტუბერკულოზი პარტნიორობის (Stop TB Partnership) მირ დაფინანსებული პროექტი განხორციელდება საერთაშორისო ფონდ კურაციოს მიერ. ერთწლიანი პროექტი მიმართულია ტუბერკულოზის სფეროში მოღვაწე სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების გაძლიერებასა და მათი ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ეროვნულ საპასუხო ღონისძიებებში ჩართულობის ზრდისკენ და იგი ორ ფაზად განხორციელდება. პირველი ფაზის ფარგლებში, ქ-ნი ნონა ტურუსბეკოვა, პარტნიორობის შევაჩეროთ ტუბერკულოზი კონსულტანტი ეწვია საქართველოს და ჩაატარა სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ორგანიზაციების ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ეროვნულ საპასუხო ღონისძიებებში ჩართულობის საბაზისო შეფასება.

შეფასების მიგნებებზე დაყრდნობით გაიწერება მე-2 ფაზის დეტალური სამუშაო გეგმა. ქ-ნმა ტაბატაძემ მადლობა გადაუხადა სხდომაზე დამსწრე ტუბერკულოზის სფეროს დაინტერესებულ მხარეებს თანამშრომლობისათვის და შეფასების მისიის ფარგლებში ქ-ნ ნონა ტურუსბეკოვასთან შეხვედრისათვის.

**კახა კვაშილავა** - დაუბრუნდა პოლიციის მუშაკების მხრიდან სამსახურებრივი გადაცდომის საკითხს და დაინტერესდა თუ დაიწყო გამოიძიება. მან გაიმეორა, რომ პოლიციელების აქტივობები საფრთხეს უქმნის პროგრამის განხორციელებას და რომ აღნიშნული ქმედებები უნა შეწყდეს.

**თამარ გაბუნია** - განაცხადა, რომ საკითხის ხასიათიდან გამომდინარე გაცილებით უფრო უპრიანი იქნება განხილვა გაგრძელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სამუშაო შეხვედრების ფორმატში, ბ-ნ არჩილ თალაკვაძის შემოთავაზების თანახმად. თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა მოახსენა აუდიტორიას დასწრებისათვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

### **გადაწყვეტილებები:**

**1.დამტკიცდეს გარდამავალი/მდგრადობის გეგმის შემოთავაზებული მონახაზი.**

**2.დამტკიცდეს საზედამხედველო კომიტეტის შემდეგი შემადგენლობა:**

- თამარ ბორცვაძე - Mdm, უფროსი ოფიცერი ადვოკატორების საკითხებში;
- მაია ბუწაშვილი - ჯანმრთელობის კვლევის კავშირი, დირექტორი;
- ნიკოლოზ მირზაშვილი - ყოფილი ტბ პაციენტი, პაციენტთა კავშირის გამგეობის წევრი;
- ნინო ბერძული - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, პოლიტიკისა და ადვოკატორების კომიტეტის თავმჯდომარე;
- თამარ ქაშიბაძე - საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო, სამედიცინო დეპარტამენტი, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- რუსუდან კლიმიაშვილი - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი.

**ტბ კოალიციის, აკსმ სპეციალისტი, ქ-ნი ეკატერინე სანიკიძე დაინიშნოს საზედამხედველო კომიტეტის კონსულტანტად.**

დანართები:

1. გარდამავალი/მდგრადობის გეგმის ცხრილი
2. პრეზენტაცია გარდამავალი/მდგრადობის გეგმის შესახებ
3. საერთაშორისო ფონდ კურაციოს განმარტებითი ბარათი